

გაზეთის ფასი:

მაგნიტის ტფილისში და გარეშე ადგილებში:	ბაზუგაზენელათ:
ქრთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

საღივ ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საქართველო მიიღება

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ბალაიხის პროსპექტზე, რეიტერის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисъ. Вь контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“. რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივს ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

განცხადება

საკოლონიკო და სალიტერატურო

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე

1867 წელს.

ზინაარსი: მმართველობის განკარგულება: — შიდალესი ბძანება. პოლიტიკა: — შიდალია. — ანგლია. — მსმალეთი. — საბერძნეთი. — მკერია. ტელეგრაფები. უელეტონი: — ნამობი ცეცხლსა და წყალშუა გამოვლილისა. სახანონო განცხადება.

მმართველობის განკარგულება.

უმაღლესი ბძანება.

ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო უკრადლებაში, რომ პეტერბურგის გუბერნიის ზემსტვოს კრება, რაც კი გახსნილა, კანონის წინააღმდეგ მოქმედებს; ის არ იქცევა როგორც სხვა გუბერნიების კრებანი, რომელნიც სარგებლობენ უმაღლესათ ნაბოძებ სიმართლით და ნამდვილ ზრუნველობას გამოაჩენენ ადგილობრივ მცხოვრებლებს სხვა და სხვა საჭიროებაზედ. ამის მაგიერათ პეტერბურგის გუბერნიის ზემსტვო დაუტყობლათ მეცადინეობს საქმეების უსაფუძლო ახსნით და წესდების უკანონო განმარტებით ხალხში აღძრას დაუნდობლობის და უპატიურობის გრძობა მმართველობისადმი. ამისათვის ხელმწიფე იმპერატორმა გასცა უმაღლესი ბძანება:

1) ახლანდელი პეტერბურგის გუბერნიის კრება დაიხუროს და დაიშალოს.

ნამამოღი ცეცხლსა და წყალშუა გამოვლილისა.

ჩვენი აღზრდის და განათლების სურათი.

II

ჩემ სასწავლებელში გაგზავნაზე შეუდგათ რჩევა და ფიქრობა, არ იცოდნენ, სად მიეზარებინეთ; ზოგმა სად ურჩია, ზოგმა სადა — მამა ჩემი ვერც ერთის რჩევაზე ვერ თანხმდებოდა. ამ დროს ჩამოგვიარა იმ ხსენებულმა ბებერმა უფროსმა და მამაშვილურათ ურჩია, რომ „არმაქნი სანათ“ სასწავლებელში გავეზავნე. მამა ჩემიც დაეთანხმა უფროსის რჩევასა, 18.. სექტემბრის ერთ დღეს დილა-ადრინათ ჩამსვეს ურგში, გამოამყარეს ჩემი ულუფა და გამისტუმრეს ქალაქი-ტფილისისაკენ. მამა ჩემიც თან გამომყავა ცხენის გზით კი. ძარგა მოშუადღევდა, რომ ტფილისში შევედი. ბინა ამოარჩიეს ერთ ქვრივ დედაკაცთან, რომელიც იდგა სწორეთ შიგ მთაწმინდის გორის ძირში, მერის მხრივ. აქედამ „არმაქნი-სანათ“ სასწავლებლამდის ორ ვერსზემეტი იყო და მეც დღეში ოთხჯერ ესტყვნინდი ამ სიშორე გზასა. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, ეს შეპყრობა იმ გადასავლთან, რაც მე თავს გადახდა და რა წვალეზამიაც ვიყავი ამ ქვრივის დედაკაცის სახლში. ჩემს გარდა ამასთან იდგა კიდევ ერთი სხვა კახელი ყმაწვილიც, რომელიც ჩემზე უფრო მოზდილი იყო. მორიგენი ლამის ერთნაირ ულუფას ვაძლევდით: წლის სამყოფ პურსა (12 კოდი), შებასა, ნახშირსა, ხორავსა და ორ-ორ თუმანსაც ფულსა სანთლისა და სარეცხისათვის. მერივე დედაკაცის სახლობა არ იყო მცირე; იმას ჰყვანდა ვაჟი-შვილი და ქალი, მზლი და მზლისცოლი ორი პატარა შვილებით — ესენი ყველანი ჩვენს ხარჯით გამოდიოდნენ, ასე

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდიოდა 1866 წელს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახილამ თაბახ ნახევრამდე.

მასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გავზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

ზავთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ბალაიხის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მათხოვნელიცა გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

Вь Тифлисъ. Вь контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К⁰.

2) პეტერბურგის გუბერნიის გუბერნიის და ყველა უეზდების სამმართველონი დაიხურონ.

3) მოქმედება წესდებისა, რომელიც 1864 წლის 1 იანვარს გამოვიდა ზემსტვოს დაწესებულებებზედ, და მის დამატებების კანონებისა პეტერბურგის გუბერნიის შიგნით ხელ-ახლათ ბძანების გამოცემამდის.

4) შევლა საქმეები და ფულები სამმართველოებისა გადაეცეს იმ დაწესებულებებში, რომლებს ხელში იყო იმ დროდის, მინამ ზემსტვოს დაწესებები მოქმედებაში შევიდნენ.

5) გუბერნიის ზემსტვოს ანგარიში და მოხსენება, რომელიც შეტანილი იყო გუბერნიის კრებაში, გადაეცეს მართველის სენატის პირველის დეპარტამენტში გასახილველათ და კანონიერს გადაწყვეტილების დასადებლათ.

რომ ჩვენ იქ მყოფობაში იმათ არც პური უყიდნათ და არც ხორავი. მაგრამ ამის სამაგიეროთ ჩვენ აი როგორ გვეპყრობდნენ: ყოველის ფერი ხომ ჩვენი ჰქონდათ — წყალსაც ჩვენი ზურგით მოტანილსა სვამდნენ. როგორც მოგვხსენებთ მთაწმინდაში თულუხჩებს ძვირათ მიაქეთ წყალი და ამისთვის იმის მოტანა ჩვენ დაგვადეს ვალათ; იმათ იფიქრეს, რომ წყალში ფულის მიცემა რა ჰქუა იქნებოდა, როცა უტხოს შვილები აქა გყვანანო. „თქვენი დედამეტი წყლისთვის არაფერს გვაძლევნო და ამისთვის თქვენ მოიტანეთო და დალიეთო.“ ერთ დღეს გეთხრა ქვრივმა დედაკაცმა. რა გაეწუბოდა, უნდა გვეყისრა ეს ვალი. ბაწესებულ გვექონდა, რომ დღეში თითო გზა მტკვრიდამ მოგვეტანა და თითო გზაც, ბალაიხის პროსპექტზე რომ წყარო იყო, იქიდგან. პირველი გზა მოგვექონდა შუადღის უკან, შკოლიდამ რომ მოვიდოდით, მეორეც საღამოზე, კიდევ შკოლიდამ მოსვლის შემდეგ. ამ ნაირათ ჩვენცა და ჩვენ სახლის პატრონსაც გვექონდა სასმელი და პირსაბანი წყალი. ამისთანა მეწყლეობამ კინაღამ ერთ დღეს ბოლო მომიღო; ეს შემოდგომა ძალიან წვიმიანი იყო, ასე რომ წყალმაც მოიმატა. მე ჩვეულებრივ წავედი წყლის მოსატანათ; წყალი მღვრივე იყო, ნაპირები სულ ნაფოტებით, ფიჩხის ნამტერეებით და ჩალაბულით სავსე, ასე რომ წყლის ამოღება არ შეიძლებოდა. რა მექნა? — ბაიხადე ფეხთ და ცოტადღენ შევეტაპე წყალში, რომ ეგება ცოტადღენ მაინც წმინდა წყალი წამეღო. წყალმა ფეხიდან მიწა გამოამაცალა და შემართია შიგნითგენ, დამძლია და წამიღო; ტანისამოსი დამისველდა, დაფიქმდი და ძირს დამიწყო წვე. ბევრს გაძაღებაში მეც დავიდალე, არაქათი აღარ მქონდა წყალთან ბძოლისა, მოვე-

შვი სულით და ხორციით და დავნებდი წყლის ზვირთებს — თავის გადარჩენის იმედი აღარა მქონდა; აქანდაქანებაში წყალი მაყლაპებევი, შიშმა მოფიქრება და გონი დამიკარგა, აღარ ვიცოდი, სად ვიყავი, მინამ ბაპირზე არ გამომათირეს და ფერდებში ცემა არ დამიწყეს. იმ დროს იქ სამი-ოთხი კაცი იყო, რომლებიც წყლისგან წამოღებულ ხეებს, ნარიყალას იჭრდნენ; ერთმა იმ თვანამა მე რომ დამინახა ამისთანა ნდგომარეობაში წყალში შემოსვლა კი ვერ შემოხედა და ნაპირიდან ჩანგალი გადმომიგდო. თურმე მეც მოვექივ ხელი და გამომათირეს; დამკიდეს თავით ძირს, მომდგნენ და ფიჩხის ნამტერეებით ზურგი და ფერდები დამიშხიპეს, წყალი წამომასხმევინეს პირიდან და ცოტახნის განმავლობაში გონზე მოვედი. სახლი და ვინაობა მკითხეს, მე ვუთხარ და ერთმა მამაცხონებულმა იმათგან წამომიკა ზურგზე და მიმიყვანა შინა. სამი-ოთხი დღის განმავლობაში მოესურვილდი, ნაცემი მომიჩხა. რაც წყალმა დამაკლო, ის სახლის პატრონმა დამიმატა: — მინამ შეუძლოთ ვიყავი ყოველდღე ეჩხებებოდა: „სურა და ლიტრა რათ დამიკარგეო.“ როცა მოვიჩხი და წყალზე წასვლაზე უარი ვუთხარი — ძალიან ეწყინა, მომდგა წვეპლებით თუ სილებით და კარგა ლაზთიანათ გამლახა: „შენ უთუოდ წყალზე ეშმაკობა დაიწყეო და იმითამ ჩავარდიო, ნუ იეშმაკებ და არ მოვიგე მაგისთანა მოვიგეო.“ ჩვენმა სეხლის-პატრონმა ამ სიკეთეს არ დაგვაჯერა. — ამ დროს რალაცა ჩვენ საუბედურათ პური ძალიან დამიჭრდა, კოდი ხუო მანეთათ გადიოდა. იმან (სახლის პატრონმა) ისარგებლა ამ შემთხვევით. ჩვენ მოგვიღოდა თოვლით თეთრი და ბუმბულივით რბილი პური — ამას ჰყიდდა და ჩვენ კი რუსული არქანოვის პურს გვაქმევდა, რო-

6) გუბერნიის სამმართველოს თავსმჯდომარე სამსახურიდამ გადაყენებლათ ჩათვალოს და სხვა წევრები ზემსტვოს სამმართველოებისა — სამსახურიდამ დათხოვნილათ.

პოლიტიკა.

ზრანთია. იმპერატორის ნაპოლეონის წერილი და დეკრეტი. მონიტორში 8 (20) იანვარს, დაბეჭდილია: „იმპერატორმა ნაპოლეონმა III მისწერა სახელმწიფო მინისტრს შემდგომი წიგნი: „მთილის სასახლე, 19 იანვარს 1867 წ. უშალო მინისტრო! ჩამდენიმე წელიწადია, რაც ლაპარაკობენ იმაზედ, მიახწია ჩვენმა საზოგადო წყობილებამ თვის უაღრეს სისრულემდის, თუ კიდევ შეიძლება მისი გაუმჯობესობა; აქედამ წარმოსდგება სამწუხარო შეუფერებლობა, რომლის გარკვევაც საჭიროა.

„ბქამდის თქვენ მუდამ ებრძოდით მოწინააღმდეგეებს და უარ-ჰყოფდით ჩემის სახელით უადგილო მოთხოვნისა; ამას იმ განზრახვით ვერებოდით, რომ სასარგებლო რეფორმების მოხდენის უფლება დამრჩენოდა მაშინ, როდისაც ამის დრო მოვიდოდა. ახლა მე ვფიქროვ იმპერიის დაწესებულებას მივსცე იმგვარი სისრულე, როგორსაც ისინი შეითვისებენ; ამასთანავე მე მსურს საზოგადოებას მომეტებული თავისუფლება მივსცე ისე,

მელიც იმ დროს ფუთი ოთხბაზათ იყიდებოდა. ჩვენ ამის ჰამას ვერ შევეჩვიეთ; ქართული პურის გემო და ფერი და იმ პურისა შორიშორის იყო; ჩვენც ამისგამო ბევრჯერ დავერჩომილვართ მშვირები; თუ წინაინ გვექნებოდა, ხომ კარგი, თუ არა და მუცელ ცარიელები უნდა ავმდგარიყავით სუფრიდამ. ხანდახან როცა შიშშილი ძალას დაგვატანდა, მაშინ თუ ავიდებდით პატარა ნაჭერსა იმ პურისას და ძლიეს დიდის წვალეებით და უმაღური დეკეთით დეათაყვებდით — ის იყო ჩვენი სადილი. ხანდახან თუ ჯობეში გროშებო გვექნებოდა, ის მოგვასურვილებდა; ხან ხილის ვიყიდდით, ხან პურსა და დავნაყრდებოდით. სახლის პატრონისთვის კი ხმა ვერ გავგეცა, ვიყავით გახუმებულები და მწუხარეთ, ჩვენ გულში მომდურავეები ჩვენის ბედისა; ვერავისთვის ვერ შეგვეძლო შეგვეჩვილა ჩვენი უბედური მდგომარეობა, — ნათესავები შორს გვეყვანდნენ და სახლის პატრონიც ჩვენ შებრალეებას არა ფიქრობდა; ხმის ამოუღებლათ დავემორჩილეთ ჩვენ გარემოებასა. მაშ რა გვექნა? მიტყოდით რასმე, კარგათაც გამოგებერტყამდნენ და იმის მეტი არა შეგვჩერებოდა რა. — ამით მაინც არა ჰქონდა ბოლო ჩვენ უბედურებას: ორ კვირაში ერთხელ სარეცხის დატრეცხა იცოდა ჩვენმა სახლის — პატრონმა, მაგრამ წყლის სიძვირის გამო არადროს შინ არ მოახერხებდა ამ საქმეს. მანამ თბილი დღეები იყო — მტკვარზე დარეცხამდა და როცა აცივდებოდა — აბანოში. მორივე შემთხვევაში სარეცხის შიდაეები ჩვენ ვიყავით, ერთმა ამისთანა სარეცხის ზიდვამ აწუ მეკურტნეობამ კარგი ავთამყოფობა შემძინა, — აბანოში სიარულმაც ხერი არ დამაყარა; გაზაფხულია, მგონი აპრილი თუ მაისი იყო, ცივი ზენა ქარებია. მე და ჩემი სახლის პატრონი თავის

რომ ამითი არ შემცირდეს უფლება, რომელიც მე ხალხმა მარწმუნა.

„მე წინათ-განვიზარებ გამოცხადებულ მმართველობის ნაკლებად განვითარებას, რომელიც გამოცდილებამ აღმოაჩინა, და მომხდინა გამაგრება, რომელიც ჩვენს უფლებას არ ეწინააღმდეგებოდა, რადგანაც მმართველობა მაშინ არის კარგი, როდესაც მმართველი საზოგადოებას მოაგვებელი გამოცდილებით და ამასთანავე წინათ სცნობს საქმეებს, რომელიც მომავალში აღმოჩნდება. 1860 წ. 24 ნოემბრის დეკრეტმა სენატს და სჯულის-დამდებს კრებას მისცა ღონისძიება, რომ მოწინააღმდეგეობა მიეღო მმართველობის პოლიტიკაში; მაგრამ აღრესზედ ბაასმა არ მოიტანა იმგვარი ნაყოფი, როგორც იმისაგან მოელოდნენ. ხანდახან ეს ბაასი უდავლოდ ანთებდა გულისთქმასა და უნაყოფო ლაპარაკის მიზეზი იყო, რისგანაც ძვირფასი დრო ტყუილად იკარგებოდა. მე ვფიქრობ, აღრესის მაგიერად სენატს და სჯულის-დამდებს კორპუსს რომ მიენიჭოს კეთილ-გონიერად მოფიქრებულის გამოკითხვის სიმართლე, ამითი მათი პრივილეგია არც დაირღვევა და არც შემცირდება.

„მე აგრეთვე საქმეებს და ვინაჲს მომხდინა ცვლილება იმ ურთიერთ დამოკიდებულებაში, რომელიც მმართველობის და უარესის სახელმწიფოს დაწესებულებების შორის არსებობს. მე ვფიქრობ, რომ ჩემის მმართველობის ძალას უკეთ მოვიხმარ, როდესაც სენატში და სჯულის-დამდებს კრებაში მინისტრებს გავგზავნი, რომელნიც იქ მონაწილეობას მიიღებენ ბაასის დროს ზოგიერთს საქმეებზედ; ამითი არ დაირღვევა ის კონსტიტუციის წესდებულება, რომელიც ნებას არ აძლევს, რომ მინისტრებს ერთმანეთში მტკიცე ერთობა ჰქონდეთ და რომლის ძალითაც ისინი მხოლოდ სახელმწიფოს თავის მორჩილებაში უნდა იყვნენ.

„მაგრამ ამაზედ არ უნდა შეჩერდნენ რეფორმები, რომელიც მოსახდენნი არიან. უნ-

და დაწესდეს კანონი, რომლითაც გამსწორებულს სამჯავროებს მიენიჭება უფლება გარეგანად ხოლმე დეკრეტის შესახებ. ამგვართ ბოლო მოეღება თვით-ნების უფლებას, რომელიც მმართველობას ჰქონდა მინიჭებული; საჭიროა აგრეთვე დაწესდეს კანონი შეყრილობის სიმართლესზედ და ეს სიმართლე შეიზღუდოს იმ საზღვრით, რომელსაც საზოგადოების მშვიდობიანობა მოითხოვს.

„მე წარსულს წელს ესტკეი, რომ ჩემს მმართველობას ჰსურს იაროს მაგარს ნიადაგზედ, რომელსაც როგორც უფლებების, ისე თავისუფლების შეკავება შეეძლება. ჩემი სიტყვები სრულდება შემოხსენებული ზომით; მე სრულებით არ ვარყევი იმ ნიადაგს, რომელიც გამაგრდა 15 წლის მშვიდობიანობაში და კეთილ-დღეობაში. მე ვამაგრებ ამ ნიადაგს, როდესაც უფრო მჭიდროდ დამოკიდებულებას ვამტკიცებ ჩემს და უმაღლესს სახელმწიფო დაწესებულების შორის, როდესაც მივანიჭებ მოქალაქეებს ახალს სიმართლეს და საბოლოოდ დავაგვირგინებ შენობას, რომელიც ხალხის ნებით არის აშენებული. ამასთანავე ღმერთს ვსთხოვ, უფალო მინისტრო, რომ იმან დაგიფაროს თქვენ თავის წმინდა საფარს ქვეშ.

„ნაპოლეონი“
პი დეკრეტის ტექსტი:

ნაპოლეონი, წყალობითა ღვთისათა და ხალხის ნებით, ფრანკუნების იმპერატორი მოიწადინებს, გახადოს უფრო სასარგებლოდ ბაასი შინაგანის და გარეგანის მმართველობის პოლიტიკის შესახებ უმაღლესს სახელმწიფოს დაწესებულებებში, და ამისთვის ვებრძობებ ქვემოხსენებულს: 1 სტატია. სენატის და სჯულის-დამდების კრების წევრებს შეუძლიანთ მმართველობის სახელზედ გამოკითხვა წარადგინონ. 2 სტატია. შოველ გვარი თხოვნა ინტერპელაციაზედ უნდა გამოცხადდეს წერილით და ხელმოწერილი უნდა იყოს ხუთის წევრისაგან მაინც. ამ თხოვნაში მოკლეთ აიწერება კითხვა, რომლის გამოც ინ-

ტერპელაცია მოხდება. ის თხოვნა უნდა მიეცეს პრეზიდენტს, რომელიც აცნობებს ამას სახელმწიფო მინისტრს და ეს გავგზავნის ამას გასანიშნავად ბიუროში. სტატია 3. შეკრულ სენატის ორი განყოფილება და სჯულის-დამდების კრების ოთხი განყოფილება ჰპოვებენ, რომ ინტერპელაციის მიღება შეიძლება, მაშინ პალატა დანიშნავს დღეს, როდესაც ბაასი უნდა მოხდეს. 4 სტატია. ბაასის გათავების შემდეგ, პალატა მოითხოვს, რომ შეუდგნენ მომდინარე საქმეების გაშინჯვას, ან მოითხოვს, რომ ინტერპელაცია გადაეცეს მმართველობას გასანიშნავად. 5 სტატია. საქმეები რიგით უნდა გაიჩიოს. 6 სტატია. გადაცემა ქალღმერთს მმართველობის გასანიშნავად შეიძლება მხოლოდ ქვემო ხსენებული სიტყვებით: „სენატი (ან სჯულის-დამდები კორპუსი) მიაკტევენ მმართველობის ყურადღებას იმ საგანზედ, რომელსაც ინტერპელაცია შეიცავს“. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მინისტრს გაუგზავნიან გამოკრებულს ცნობებს სენატის და კორპუსის შეკრებილობაზედ. 7 სტატია. როგორც სახელმწიფო მინისტრს, ისე თვითოველს მინისტრს შეუძლიან, იმპერატორის საკუთარის მინდობილებით, იყოს მმართველობის წარმომადგენელი სენატში და სჯულის-დამდებს კრებაში რომელიც საქმის განხილვის დროს და სჯულის პროცესების შედგენაში. 8 სტატია. ბაუქმდებიან 1 და 2 სტატია ჩვენს დეკრეტისა 24 ნოემბრისა 1860 წ., რომელშიაც დაწესებული იყო, რომ სენატი და სჯულის-დამდები კორპუსი შეადგენენ ყოველ წლივ აღრესს, ტრანოთ-სიტყვის პასუხად. 9 სტატია. მივანდობთ ჩვენს სახელმწიფოს მინისტრს, რომ ეს დეკრეტი აღსრულებაში მოიყვანოს. ტუილის სასახლე, 19 იანვარს 1867 წ. „ნაპოლეონი“.

— ცვლილება შრანციის სამინისტროში. შინანსის სამინისტროს მმართველის უ. შულდის ადგილზედ დანიშნა უ. რუე, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის წოდებაც

დაურჩება. სამხედრო მინისტრათ, მარშალის რანდონის მაგიერ, დანიშნებულ იქნა მინისტრის, უ. ტენეშის ნაცვლი და ზღვის მინისტრის, უ. ტენეშის ნაცვლი. შრანციის მინისტრის, ადმირალი რიგო-დე-შენსული. შრანციის მინისტრის, ადმირალი რიგო-დე-შენსული. შრანციის მინისტრის, ადმირალი რიგო-დე-შენსული. შრანციის მინისტრის, ადმირალი რიგო-დე-შენსული.

— შრანციის უფალი გაზეთების ახალი ახალს რეფორმაზედ. შრანციის უფალი გაზეთების 1e Temps, 22 იანვრიდან, დაბეჭდილია: „ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ 20 იანვრის დეკრეტს ისეთი ერთნაირი შთაბეჭდილება არ ექნებოდა საზოგადოებაზედ, როგორც 24 ნოემბრის დეკრეტსა ჰქონდა. ახლაც ეს ცხადთ სჩანს იმისგან, რაც ამ დეკრეტზედ გუშინდელსა და დღევანდელს გაზეთებში ითქვა. შესანიშნავია, რომ, თუმცა გაზეთები სხვა და სხვა შეხედულობისა არიან, მაგრამ ამ დეკრეტზედ სჯაში სრულიათ არსადა სჩანს პარტიების გაღვინა.

„24 ნოემბრის 1860 წ. დეკრეტი, უპიკველია, პროგრესის მომასწავლებელი იყო: ეს მოულოდნელი დეკრეტი ბევრს რამე უთმობდა ნაციას და ახალი ერის შედგენას ადგილთქმინდა. 19 იანვრის დეკრეტი კი ცოტა საეკვაო: რაც კარგათ ვიცით, ის იმას გვართმევს და იმის ნაცვლათ სხვა რამეს გვამლევს, რომლისაგან, ღმერთმა იცის, თუ რა გამოვა. შინ იტყვის, რომ აღრესზედ ბაასს ყოველ-წელიწადს დიდი დრო არ უნდებოდა, მაგრამ განა ეს ძლიერ ადვილად არ აიხსნება იმ პირობებით, რომლებს გაველენს ქვეშაც წარმომადგენლებს უნდა ემოქმედნათ? როცა იმპერატორის წიგნს წაიკითხავ, იფიქრებ, რომ ახლანდელი ცვლილება კონსტიტუციაში უკანასკნელია, მეტს დათმობას კაცი აღარ უნდა მოელოდეს; იმპერატორი მართლა პირ-

მაზლისცოლით და ყმაწვილებით წაველით აბანოში, თან სარეცხი წავიღეთ. საღამოზე მთელი დღე აბანოში მჯდომს, ამკიდეს ერთი დიდი ბოხჩა სველი სარეცხი და შინ ატანით გულღვიძლი ჩამაყრეინეს. ტვირთის სიმძიმემ ოფლის ხეირთქში გამაყურა; ამ დროს შემამბებრა ზენა ქარმა და წელში გამაკავა, გაცივიდა და ავით გავხდი. მიწვექ ორი კვირა მეტი ლოგინში და ჩემ მორჩენას არა ეშველა რა, ავით მყოფობა საოფლეთ გადამქცა. შრანციის მდგომარეობაში ვიყავი; ჩემ თავთ ადგომ-დაჯდომა აღარ შემიძლო. ამან დ ჩემმა სახლის პატრონმა იფიქრა: „აქ არ მოკედეს და თავს არ დამაწვესო ხარჯი და სხვა რამ განკარგულება“ და შეატყობინა ჩემ დედამას: „თქვენი შვილი მიზეზით ავით გახდა და ჩამოღით ყური უგდეთო“ მაშინ ჩამოვიღე ურმით, მეორე დღეს ჩამაწვიინეს ურემში და წამიყვანეს შინ სალოცავათ. სახლში, რასაკვირველია, დედამ ყური მიგდო, მომადინა ოფლი და ცოტახნის განმავლობაში კარგათ შევიქენ. მთელი ზაფხული დავრჩი შინ და კარგათ მოფერებინდი. დავა შემოადგომა და ქალაქში ჩამოყვანა დამიბირეს, მაგრამ ძალიან უარი ესტკიცე. ჩემი შვიდი, რვა თვის ქალაქში მყოფობაში ერთი კარგი დღე არ მენახა და აბა როგორ დავთანაზმდებოდი ისევ იმისთანა ვარეგლახში ჩავარდნას! მაგრამ ჩემ ნებას ვინა ჰკითხამდა! დედასთან მართალია გაზეთადებული ვიყავი, მაგრამ მამის ძალის დატანებას ვეღარ გაუმარდი; რომ აღარა გამეწყო რა, მაშინ ხევეწა დაუწყე, რომ სხვა სახლის პატრონთან მაინც მივებარებინეთ; მართალია ამაზე დათანხმებას ვერ არა პებდადენენ, რადგანაც ნაცნობი აღარაინ ვგულებოდეთ, მაგრამ ბოლოს ერთი ბებერი დედაკაცი მოაგონდათ, რომელიც ცოტა ნათესავ-

თაც ხვდებოდა; ამათ თქვეს იმასთან დაყენება. იმ დედაკაცს მე არ ვიცნობდი, მაგრამ იმასთან დგომა მაინც ვარჩიე, ოღონდ ძველსა ხალხის პატრონს მოვშორებოდი. წამიყვანეს ტფილისში, მომბენეს ის ბებერი დედაკაცი და მიმბარეს ისევ იმ პირობებით, როგორც წინაწინ დედთან ვიდექი. ამ ბებერს ჰქვანდა თავისზე უფრო უარესი ბებერი ქმარი. ის სახლობდა ისე ღარიბი იყო, რომ ლამის დღიური ლუქმაც არ ეშოვებოდა; ამის გამო იდგა ერთ ისეთ ღრმა სარდაფში, რომელშიაც კაცი ვერც დღე და ვერც ღამე უსანთლოთ ვერას დანახამდა: სიძნელეს ვინა ჩივის—ამასთან ოღიანი და ტენიანი იყო. ჩემი მიბარება იმათ, რასაკვირველია, არ ეწყინებოდათ, დიდის სიხარულითაც მიმიღეს; ლუქმა პური გაუჩნდათ და აბა ხელს როგორ არ მოავლებდნენ? მაგრამ მე კი ხუთი წლის იქ მყოფობამ ხეირი არ დამაყარა: ტენმა და ოღმა წელში შემხუთა, თანაც სურათანი გამიჩინა—ეს კია, რომ ეს ავით მყოფობა ისე ჩემათ შემომგებარა, რომ მანამ ძალიან არ გავხდი ავით, არ შემიტყვიან... მე ის მიხაროდა, რომ სასწავლებელზე ახლო ვიდექი და თითონ სახლის პატრონიც კარგი გულით მექცეოდა:—რაც ჰქონდა, ჩემთვის არა უფრდა რა და საღარდებელიც ეს იყო, რომ იმ საწყალს არაფერი არა ჰქონდარა იმის მეტი, რასაც ჩემი დედამა გამოუგზავნიდნენ. სახლის პატრონი ბებერი იყო და ამის გამო სახლში სულ მე მიმსახურებდა, როცა კი შინ ვიქნებოდი; სახლის დავა, გუნდების ფურნეში წაღება, ხშირათ ბაზრადამ ხორაგის მოტანა და ხანდისხან ჩემი საცვლების დარეცხა და დაკრება მე დამაწვი კისერზე. ამის გარდა, თუმცა მამაჩემი ორთუმანს აძლევდა სანთლისა და სარეცხისთვის, მაგრამ ჩვენ სახლში კი სანთელი ძნელათ ან-

თებულა; თუ გვექნებოდა სანთელი, ისიც მაშინ, როცა სტუმრები მოგვივიდოდნენ; ეს დღე ჩემთვის დღესასწაული იყო. ამას გარდა ჩვენ სანთლათ ვწვავდით საშინელ მყარალ სუნთან ღორის ქონსა. ამის განათება მე ძალიან მეზარებოდა, რადგანაც თავი ამტკივოდა ხოლმე; ბნელაში ჯდომას ვარჩეულობდი. ჩემი სახლის პატრონისთვის კი სულ ერთი იყო: ის მაინც ისეც ვერასა ხედავდა. აქ ერთი იმით იყო კარგი, რომ წყალს აღარ ვზიდავდი, აღარც აბანოში დამქონდა სარეცხი და აღარც შავ არეანოს პურსა ვსკამდი; შინაურ მსუბუქ საქმეს მაკეთებინებდნენ და მეც ძალიან არა მწყინდა; ახლა ამ მსრით ჩემი ბედის მომდურავი არ ვიყავი; მეტადრე უფრო იმითომ, რომ ის ბებერი ტკბილი ადამიანი იყო, ჩემი დაყვავება იცოდა, შკოლაში გაჯავრებულ და შეშფოთებულ გულს ის დამიწყნარებდა ხოლმე თავისი ტკბილი დედაშვალური ალერსით, თავისი გულ-მტკივანე ლაპარაკით. ამისთვის კიდევ ამოდენა ხანი შევრჩი, როგორც მოგახსენეთ ხუთი წელიწადი; ამ დროს კიდევ დავაქციდი, 16 წლისა გავხდი.

მკითხველო, როგორ მოგწონთ ჩემი მოამბის მდგომარეობა, გარემოება? რას მოელოთ იმისაგან?—თუ მოელოთ, რომ ის გულიანათ შეუდგება თავის საქმეს და ენერგიულათ წაიყვანს—ამაში ძალიან სცდებით. უნდა მოგახსენოთ, რომ რვა-ცხრა წლის ყმაწვილს იმოდენა არც შეძლება აქვს, არც კუთა გაუტრის, რომ ამ გარემოებისგან შეწყუბებულმა კიდევ იფიქროს რისთვისმე. შამწილი კი არა, თითონ ვაჟიკაციც რომ ჩავედოთ ამისთანა მდგომარეობაში, ისიც ვერ გაიტანს თავსა და თავის საქმეს ნამუსიანათ ვერ შეასრულებს. შამწილი რომ სასწავლებლათ იგ-

ზავნება, ის უეჭველათ იმ გარემოებით უნდა შემოირტყას, რომელსაც შეეძლოს მისი წახალისება, წაქვება. ადამიანის და მეტადრე უფრო ყმაწვილების ცხოვრებაში გარემოებას დიდი გავლენა აქვს, მასზე არის დამოკიდებული მისი მომავალი. ჩემი მოამბე კი, როგორც ხედავთ, მკითხველო, ისეთ მდგომარეობაში ჩავადეს, რომ ლამის ყოველდღე მოუცლელაში და შეშფოთებაში იყო, ყოველ დღე თავის ბედზე და მდგომარეობაზე ფიქრობდა, დარდობდა; ყოველ დღე უკმაყოფილებას და შრომას იგლიდა. საღა დაჩნებოდა იმას ან თავისუფალი დრო, ან შეუშფოთებელი გული და განება, რომ თავის საქმისთვის ენერგიულათ მიყოლა შესძლებოდა?—ამას ყველაფერს ის მოკლებული იყო. მე არა მგონია ჩემში იყოს ვინმე ისეთი საზოგადო შკოლაში გამოზლილი, რომელსაც ცოტათ, თუ ბევრათ არ გამოეცვლოს ამისთანა გარემოება, მაგრამ არა მგონია კი, რომ ეს ყველას ჩარჩენოდეს გულში. არა, ჩემში ყველა იმას სცდილობს თავის შეილებიც იმ კვალზე გაატაროს, რომელსაც თითონ გაუწვლია თავისი პატრონების უმეტესების გამო... საწყალა ყმაწვილებმა! ნეტავი როდის იქნება ის დრო, რომ თქვენი კარგათ მოპყრობა და მოვლა ისწავლონ და თქვენი დედამამებევე არა ხდებოდნენ თქვენი უნიკობის მიზეზად? მკითხველო, ვისაც შეილებიც გყავთ უზრდით, მეტყუეთ, რომ თქვენი შვილიც უეჭველათ ამისთანავე მდგომარეობაში იქნებან, თუ სხვის ხელში ჩაადგებთ და მამასადამე თქვენვე იქნებით მათი წვალების და თავიანთი დანიშნულების აუსრულებლობის მიზეზი; და თუ შეძლებული ხართ და თქვენ შკოლებს არ ჩაადგებთ ამისთანა მდგომარეობაში ეს მაინც შეიტყუეთ, რომ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში ბევრი მოზარდი ყმაწვილები შემოხსენებულს მდგომარეობაში არიან, იქნება ამაწავთ გაფიქრებინოს რისთვისმე.... ასე ყური დაუგდოთ ისევ ჩვენ მოამბეს, ვნახოთ კიდევ რას მეტყვის.

(შემდეგი იქნება.)

დაპირ ამბობს, რომ „ის ათავეს სახელმწიფო დაწყობილების სისრულეში მოყვანას.“ მაგრამ ეს იმპერატორის სიტყვები, რომელთაც შეუძლიანთ ლიბერალებს ყოველი იმედი წაართონ, პირობებით არიან შემოკლები და შემსუბუქებულნი განმარტებაში, რომელიც მონიტორმა დეკრეტს გამოაყოლა. ეს განმარტება ამბობს, რომ 19 იანვრის დეკრეტი სასარგებლო პროგრესიული ზომათა და სხვა არაფერი მეტიო. ამასთანავე ოფიციალური ორგანი ამბობს პირდაპირ და დაყენებით რომ იმპერატორს ამას იქით წასვლა არ შეეძლოა, უბრალო დეკრეტის საზღვრებზედ გარდუბდომელათ. მაშა სადამე, ვერ კიდევ შესაძლოა კონსტიტუციის თან და თან სისრულეში მოყვანა იმის და გვართ, როგორც გამოცდილება აჩვენებს.“

ბეჭდის შესახებ გავთი Siècle ამბობს: „ჩვენი მხრით ჩვენ მაინც იმას ვთხოვლობთ, რომ დანაშაულობა ბეჭდის საქმეებში უწინდელივით მოფიცების სამსჯავროში გაიჩინოს და ადმინისტრაციის წაერთას უფლება, რომელიც იმას ნებას აძლევს შეყრილობის აკრძალვას.“

— ანგლიის პრესის აზრი შრანციის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. Times-ს 19 იანვრის დეკრეტი შრანციის კონსტიტუციისთვის საუმჯობესოთ მიანია, მაგრამ ამასთან დარწმუნებულია, რომ ეს არ იქნება შრანციის თავისუფლების და პროგრესის უკანასკნელ სიტყვათ. ზაზეთი სწუხს, რომ აღრესის შედგენა გაუქმდა და გამოკითხვასაც ერთი მცირე ძალა მიენიჭა; მაგრამ ის აქებს სჯულის შეცვლას ბეჭდის შესახებ.

Post-ი ამბობს, რომ უკანასკნელნი ცვლილებანი შრანციის კონსტიტუციაში ნაბიჯის წინ გადადგმა არისო, რომ ეს მოასწავებს პროგრესს და განათლებას; ამას გარდა გავთი სწერს, რომ პრესის განთავისუფლება და კონსტიტუციის მმართველობის მოქმედება მიანიჭებს მხარეს კეთილ-დღეობას და განამკვიდრებს ხელმწიფის ტახტს.

Daily-Telegraph-ი 19 იანვრის დეკრეტზედ სწერს შემდეგს: „ამ დოკუმენტის აზრი ლიბერალურია. იმპერატორის წერილი გულ-დადობილია ხალხის რწმუნებაზედ და გულ-ახდელ აღიარებს რეფორმების მიუცილებელს საჭიროებას. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამისთანა გონება-მანებელია და შორს მხედველმა ხელმწიფემ ასე ბრწყინვალეთ აუწყოს ყველას რეფორმების საჭიროება და ბოლოს მხოლოდ ცარიელი სიტყვებით დაკმაყოფილდეს.“

Daily-News-ი სულ სხვა აზრისაა. ის ამბობს, რომ შრანციის მმართველობის უკანასკნელნი ცვლილებანი სრულიად ოცნებაა. ეს გავთი იტყვებლობს, რომ რაიმე კეთილი ცვლილება მოხდეს შინაგანს და გარეგანს იმპერატორის პოლიტიკაში.

ოსმალეთი. უკანასკნელნი ცნობანი ქანდილიდამ, ქანეის კორრესპონდენტი Daily-Telegraph-ში სწერს, 31 დეკემბრიდამ: „ამ ქაბათ არეულობა ქანდიში ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორათაც მუსტაფა-ფაშამ ჰპოვა ის წინათ. მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა: განდგომილები უკეთ არიან შეარაღებულნი, იმათი ჯარები უფრო შეგუფებულნი არიან. ღიდი ხანი არ არის, რაც მე ვკითხვ ერთს აღბანელს აფიცებს, რამდენს ხანს გაგრძელდება კიდევ ომი მეტი? „მრი ან სამი წელიწადი, მომიგო იმან, თუ ამასთან საქმეებს ისეთი მსვლელობა ექნება, როგორიც ეხლა აქვს.“ არ ვიცი, რა ძალა ექნება არეულობას შემდეგს თვეებში, მაგრამ მე შემიძლიანთ თქვენ დაგარწმუნოთ, რომ ის არეულობა არ დამშვიდდება, მინამ მთელს ოსმალეთში, შირაზში, აღბანში და სხვა საქრისტიანო მარტებში არ ადგება ხალხი.

„როგორც ისმის, მუსტაფა-ფაშის არმია იბრძვის სელინოსის მარაზში, ქრუსტოგრაქთან, ებრძვის განდგომილებს, რომლებსაც წინამ-

დლოლობს ზიმერაკაი. ამის გარდა ამბობენ, რომ სეკიორტები ყველანი ერთთ ხელ-ახლა ამდგარან და სერიანდს მოსვლია ბრძანება, რომ იმან კუნძული დასტოვოს; თორემ ლუკმა-ლუკმა აკუფვენ. ამ ფაქტის ქეშმარტებას მე ვერ დაგიმტკიცებ. რუსეთის ფრეგატმა გადაიყვანა 2 ათასი კაცი; ეს იმას ადგილად შეეძლოა.“

— ქანდიელებს უბედური მდგომარეობა. ზაზეთი 1^o Europe ამბობს: „თუ რა განსაცდელში არიან ქანდიის კუნძულის მცხოვრებლები, მკითხველებს შეუძლიანთ ქვემოხსენებულის საბუთებისაგან დაინახონ. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ მკითხველები გულწრფელ თანაგრძნობით წაითხვენ განდგომილების წინამძღოლის ზიმერაკაის მოწოდებას. ეს საბუთები არიან დაბეჭდილი გაზეთში Independance Hellénique (საბერძნეთის დამოუკიდებლობა), რომელიც ათინაში გამოდის; ამ საბუთებთან დაბეჭდილია წიგნი, ზემოხსენებულის გაზეთის რედაქტორთან მიწერილი: „საყვარელო ქანდილუპოლო, გთხოვთ თქვენს გაზეთში დაბეჭდოთ წერილი, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. ძლიერ საჭიროა, რომ ეს წიგნი, რაც შეიძლება, მალე დაბეჭდოს. ამ სტრიქონებს შემუსრული გულითა გწერთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა უბედურებაში იმყოფებიან კრიტელების კოლმეილინი. მე მინახავს მოხუცებული დედაკაცები, რომელნიც თოვლში ფეხ-შიშველნი დადიოდნენ და ხელში გაშვებული შავშები ეჭირათ. შვიდი კაცი—ოთხი დედა-კაცი და სამი ბავშვი,—კლდის გამოკვებულში შიმშილით დაიხოცნენ. აბა ამათ ტანჯვასთან ჩვენი ტანჯვა რა უნდა იყოს? ამ ბედკრულებისათვის შემწვობის მიცემა მიუცილებელია; მალე კი უნდა მიასველონ.—მომოლისი (ძიდონის ეპარხია) 3 იანვარს 1867 წ. თქვენი ერთგული მუსტაფა მლურენსი.“

აი იმ წერილის პირი, რომელიც გაიგზავნა ანგლიის და რუსეთის კონსულების სახელზედ: „შეალო კონსულო! თქვენ კეთილგინებებით ხომალდის გაგზავნა ბედკრულის კრიტელ ჯალაბების გადასაცემათ. შამისოთ ისინი სიცივით და შიმშილით მთებში დაიხოცებოდნენ. მთელი ძირტის ხალხი მადლობას გიძღვისთ ამისთანა კაცთმოყვარე მოქმედებისთვის და მამასახლისებმაც მომანდგეს, რომ მთელი ხალხის მაგიერად მადლობა განგიცხადოთ. ძირტის მცხოვრებლებს იმედი აქვთ, რომ ის სულგრძელი ხალხი, რომლის წარმომადგენელიც ბრძანდებით, მარტო ამ შემწვობით არ დაკმაყოფილდება. ახლანდელმა ბარბაროსულმა ომმა, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ აღიძრა, მრავალს ჯალაბს წართვა თავმცსაფარი, სარჩო და ტან-საცმელი. ეს ჯალაბნი დამშვიდლნი თოვლში დაწნალობენ. იმედი გვაქვს, რომ კეთილ-ინებებთ და განკარგულებას მოახდენთ ამ ჯალაბების გადასაცემათ. შუ. კონსულო! მთხოვთ მიიღოთ ჩვენგან დიდი პატივისცემა. მალაოსი, 1866 წ. 21 დეკემბერს. ქანეის ოთხის მარაზს სარდალი ზიმერაკაი.“

შპირელების და ოსმალელების პროკლამაცია. საბერძნეთის გაზეთებში არის დაბეჭდილი შემდეგი პროკლამაცია, რომელიც შპირში და ოსმალეთში გამოცხადდა: „როცა ხალხი იგრძნობს საჭიროებას, რომ მიუტალბელად უნდა გასწვიტრას კავშირი თავის მთავრობასთან, მაშინ იმან ღეთისა და კაცის წინაშე უნდა განაცხადოს მიზეზი, რომელმაც ის აიძულა ამის მოსახდენათ. რაკი ამ მარტების ხალხმა ღმერთი ახსენა, ის ვალათ რაცხს ამ თავგანწირულის მოქმედებისთვის თავი იმართლოს განათლებული ქვეყნის თვალის წინ, რომლის თანაგრძნობაც იმისთვის ძვირფასია. ის საჭიროდ რაცხს, გამოაცხადოს მიზეზები, რომლისგამოც იმან ხელი მიჰყო იმისთანა საქმეს, როგორსაც ხალხი ჩაიდენს ხოლმე, როცა ის მოთმინებდამ გამოყვანი-

ლია. იმან ხელი მიჰყო იარაღს, რომ დაჩაგრული თავისი სიმათლე ისევ აღადგინოს. „ბევრი წელი გავიდა მას აქეთ, რაც შეროვა თავის სულგრძელებით ძალას ატანდა მსმალეთს, რომ ის მოაპრობოდა იმის ქვეშევრდომს ქრისტიანებს სამართლიანათ და კაცთმოყვარეობით. სამწუხაროდ ეს სულგრძელი წადილი შეროვისა დარჩა უნაყოფოდ. ბევრჯელ ბრწყინვალედ დაგვიბრძნენ, რომ კანონიერად და სამართლიანათ მოგვეპრობითო, მაგრამ ამის მაგიერად მსმალეთის მმართველობამ ამ უკანასკნელს წლებში დააწესა შპირში და ოსმალეთში იმგვარი გამგეობა, რომელიც წინანდელზედ კიდევ უფრო შემავიწროებული და სამძიმოა. ჩვენი მდგომარეობა იმდენათ უბედური შეიქნა, რომ ჩვენ ყოველი ნუგეში მოგვეპოო და მოთმინებდამ გამოვედით. ჩვენ ქრისტიანებისთვის არც გამგეობა, არც სჯული და არცარაერთარი სამართალი არ არსებობს. ჩვენი პატიოსნება, ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი ქონება გარყვნილ გამგებლების ხელშია. მსმალთს მმართველობა სრულიად არ გამოცვლილია; ის ადრინდელათვე, როგორც პირუტყვს, ისე გვიყურებს. შოველგვარ შევიწროებისგამო, ჩვენ ჩავარდით უკანასკნელს უბედურს მდგომარეობაში. ზაუწყებულად ბეგარას ვინდით, სახელმწიფო ხარჯი თანდათან გვემატება და ამასგარდა ურიგო ხარჯსაც შეგვაწერენ ხოლმე. შოველი ქონება წაგვეტოო, ასე რომ სარჩო პურს გაჭირვებით ვმოულობთ. თუ კი საკუთარი შრომით რამე ქონება შევიძინებთ, მაშინვე ჩვენი მსმალეთის გამგებლები წაგვართმევენ ხოლმე. ისინი აზიურს განცხრობაში და გარყვნილებაში ყელამდის ჩაფლულნი არიან. იმათ ჯათას ვეღარ გავუძელით და ამისთანა შემავიწროებელმა მდგომარეობამ არამტოო სულით მოგვაუძლოო, არამედ, თავი გამოგვამეტებინა და აგვიძრა გულში კაცური ღირსება. პირუტყვად გახდომას სიცივლი ვაჩრით. ღმერთია ჩვენი შემწე; განათლებული ქვეყანა არ გაგვიცხავს და ჩვენს უსწორო ბრძოლაში ძმურს შემწვობასაც მოგვაწვდენს. თუ ჩვენმა წინაპრებმა სხვა ხალხებს შეგვანეს კაცური ღირსება და თავისუფლების სიყვარული გულში აღუძრეს, მაშასადამე ჩვენც, როგორც იმათ შთამომავალს, აღგვიძრეს იგივე გრძობა. არავის არ შეუძლიან უარპყოს ზოგიერთი პრინციპები, რომელზედაც დამყარებულია ყოველი კეთილ-დაწყობილი საზოგადოება. შემოქმედმა, როგორც თვითოეულს, ისე ყველას მიანიჭა განუშორებელი სიმათლე, ესე იგი ის სიმათლე, რომელიც დაიცავს კაცის სიცოცხლეს, პატიოსნებას და საკუთრებას. როგორი მმართველობაც უნდა იყოს, იმან მაინც თავის გასამგებო ხალხს არ უნდა მოაკლოს ეს სიმათლე. თუ მმართველობა ამ სიმათლეს დაარღვევს, მაშინ ის აიძულებს ხალხს, რომ აღარ ემორჩილოს და იმის უფლებებისგან განთავისუფლდეს. ჩვენ გადაწყვიტეთ, ამავე გვართ მოვიქცეთ მსმალეთის მმართველობასთან და მოკსპეთ ყოველი გვარი ურთი-ერთობა ჩვენსა და ოსმალებს შუა.“

„ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამიერიდგან სულთანის ქვეშევრდომობა აღარ გვსურს. იმის უფლებებისგან განდგომილნი ვითხოვთ თავისუფლებას და გვსურს შევეუერთეთ საბერძნეთს, რომელიც ჩვენი მონათესავე ენით, სარწმუნოებით, ზნით და ჩვეულებით და რომელიც ერთ დროს ჩვენსავე მშუხარე მონა იყო.“

„ჩვენ გვსურს ჩვენ ძმებთან შეერთება. მდესმე ჩვენ ერთად ვიბრძოდით, ერთად ვიტანჯებოდით და ერთ უღელს ქვეშ ვცვენაყვდით. ჩვენთვის მიუცილებლათ საჭიროა ერთად ცხოვრება და ერთი-ერთმანერთის ნუგეში.“

საბერძნეთი. ახალმა მლოინის სამინისტრომ შეადგინა პროგრამა, რომელშიაც ა-

რის მოხსენებული გარეშე პოლიტიკის საქმეებზედ. ეს ალაგი პროგრამის ყველა მსგავსი საინტერესოა და ჩვენც იმას გამოვიყურებთ. მარეშე პოლიტიკაზედ აი რას ვიტყვი, მოწყალენო ხელმწიფენო: ჩვენ გვსურს მეგობრულათ ცხოვრება ყველა სახელმწიფოებთან ამ განზრახვის ასასრულებლად მმართველობა ყოველს ღონისძიებას მოიხმარს. თუმცა ჩვენი მმართველობის სურვილი ის არის, რაც რომ ჩვენ წარმოვსტკიეთ; თუმცა მლოინის ხალხი მღელვარების და უწყისობის სურვილს არ აცხადებს და არც იმისთანას რასმე სჩადის, რომელიც მღელვარების მიზეზი იყოს, მაგრამ ზოგი ერთი გარემოება კი იმისთანაა, რომ მლოინიც არც მლოინის საკაროლოს მმართველობაზედ არიან დამოკიდებულნი და არც თითონ ხალხზედ. მეზობელს ქვეყნებში ადგილობრივი მიზეზების გამო მოხდა აღრეულობა და ამაზედ საბერძნეთს პასუხის-გება არას ვზით არ შეუძლიან. მაგრამ ამ აღრეულობას შეუძლიან ასტეხოს შფოთი და უწყისობა შიგ საკაროლოში. ამისთანა ამბავი გაჭირვება ადგებს საბერძნეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის ურთი-ერთობას. ახლა უნდა ვიკითხოთ: მლოინის ხალხს შეუძლიან თუ არა, რომ ამგვარი მდგომარეობა გულმშვიდათ აიტანოს? (ბრაეო! ბრაეო! პალატაში და ტრიბუნებში ტანის ცემა). პრეზიდენტი. მოწყალენო ხელმწიფენო, გთხოვთ გააზუმდეთ. ამისთანა თანაგრძნობის გამოცხადებაზედ კანონი ნებას არ გვაძლევს.—ზოგიერთი დეპუტატები. შეალო პრეზიდენტო, ქანდიანზედ გვაქვს ლაპარაკი.—შ. ქომან დუროს. ზანა მლოინის მთავრობას შეუძლიან, რომ გულ-გრილად დარჩეს, როდესაც ჰხედავს ამდენს ქალსა და ყმაწვილს, რომლებსაც გულ-შეტკინებით შევლიან მფარველნი სახელმწიფოანი და ეს შეუტოდებელი არსებანი ჩვენს სამშობლო მიწაზედ გადმოჰყავთ? თუ კი ძლიერნი მფარველნი სახელმწიფოანი ამ საქმეში გულ-გრილად არ დარჩნენ, მაშ ჩვენზედ კიდევ უფრო ძლიერი მოქმედება უნდა ექნეს ამისთანა სურათსა, რადგანაც კრიტიკები და ჩვენ ერთი შთამომავლობანი ვართ, რადგანაც ისინი ჩვენს ენაზედ ლაპარაკობენ და აღიარებენ ჩვენთან ერთს სარწმუნოებას. ჩვენ უნდა მივეშველნეთ იმათ, რადგანაც ისინი გვშევიდნენ, როდესაც თავისუფლებისთვის ვიბრძოდით. თუმცა ჩვენ ეს გრძობა გვაძნევეს, მაგრამ ნეიტრალიტეტის პირობებს მაინც დავიმარხავთ. ქანდილიდამ გამოსულს მცხოვრებლებს რომ ჩვენ ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოთ, ამას ვერცარავინ დაგვიწუნებს და ამისთვის არც არავის ნება აქვს, რომ უკმაყოფილება გამოაცხადოს. მერავინ ვერ მოითხოვს, რომ მლოინის მმართველობამ დაარღვიოს ის უფლებები, რომელიც იმას ნეიტრალიტეტით მიცემული აქვს, მაშინ, როდესაც თვითონ მლოინის მმართველობა უცხო ქვეყნის სახელმწიფოების უფლებას პატივსაცემს. რადგანაც კუნძულის ქანდიის ამბავი თვალისწინ გვიდგას და წარსულ წლების მაგალითიც ხელში გვიჭირავს, ამისთვის ჩვენ ეს საქმე კარგათ უნდა მოვიხაზოთ. შიგ საკაროლოში ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი საქმე, რომ ყოველი სამუქარო უბედურება თავზედ გადავივლოთ. ჩვენ უნდა გამოვაწყოთ ჩვენი ძალა შიგ სახელმწიფოში ისე, როგორც მმართველობას შეეფერება, რომ გაჭირვების დროს იმაზედ გულდაიმიდებულნი ვიყვიეთ; ამას გარდა ჩვენ უნდა მოვიპოოთ მეგობრული სახელმწიფოების და განსაკუთრებით მფარველი სახელმწიფოების შემწეობა. ჩვენ უფრო ამას უნდა ვცადაოთ, რომ შეროვას კარგათ ვაცნობოთ ჩვენი განზრახვა და ის ისე აღარ მოსტყუედეს, როგორც ქანდიის ადგომის დროს მოსტყუედა. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ბეჯითად ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, რომელიც ნეიტრალიტეტმა დაგვადეა,

დმით, რომ ძანდის ადგომაში არავითარი მონაწილეობა არ მიეცემა. ამ აზრით ჩვენ გირჩევთ ნებადაგფრთოთ უმძიმეს საეღობოზე, რომელსაც ვამზადებთ და გავგზავნით უცხო ქვეყნის სახელმწიფოებში იმ განზრახვით, რომ იქაურ მმართველობაებს შევატყობინოთ ჩვენი საქმის ახლანდელი მდგომარეობა. აგრეთვე გვიწერეთ იმათ გადაცემთ, თუ ჩვენს გარეშე რა კეთდება. ამასხით, მოწყალენო ხელმწიფენო, ჩვენ იმედი გვაქვს დაუშახურებლათ მოსაველენელი უბედურება თავსედა დაევივლოთ და გავამართლოთ მლინის ხალხის სურვილი და სასოება. (ხმა მაღალი ტანის ცემა).

ამერიკა. ზაფეთში „Pall-Mall“-ში სწერენ: 1) პრეზიდენტი ჯონსონი გამტყუებნება იმაში, რომ იმან დაარღვია კონსტიტუცია და ის კანონი შეერთებულის შტატების, რომლისთვისაც ფიცი მიიღო და რომელიც იმას უნდა დეცვა, რადგანაც აღმასრულებელი უფლება აქვს. იმისი უმთავრესი დანაშაულობა ის არის, რომ კონსტიტუცია დაარღვია. იმან გაწესა ალაგებზედ იმისთანა მოხელეები, რომლებიც სენატს არ დაუმტყუებია. კონსტიტუციაში არის მოხსენებული, რომ ყველა მოხელეები უნდა განწესდეს პრეზიდენტის დანიშვნით, მაგრამ სენატს თანხმობით. პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუციის სჯული, რადგანაც იმან დანიშნა მოხელეები და აძლევდა იმათ ჯამაგირს სამხედრო დეპარტამენტის ფულიდგან, თუმცა ყველამ იცოდა, რომ იმათ არ შეეძლოთ მიეღოთ ფიცი შეერთებულ-შტატების მოხელეების ერთგულობაზედ. ამითი დაირღვა კონგრესის დაწესება, რომელიც მოხდა 2 ივლისს 1862 წელს, და რომლის ძალითაც არავის არ შეუძლიან მიიღოს არა ვითარი თანამდებობა, არც სამხედრო არც სამოქალაქო, თუ აღრევე არ მისცემს ფიცს, რომ იმას არას დროს რესპუბლიკის მტრებთან კავშირი არა ჰქონია.

2) პრეზიდენტს უნდა მიეწეროს „სახელმწიფოს ლალატი“, რადგანაც იმან სიკვდილისგან არ დაიფარა მრავალი მოქალაქეები, რომლებიც ეკუთვნოდნენ პრეზიდენტის მოწინააღმდეგე პარტიას. აქ უნდა მოვიხსენოთ ის შემთხვევა, რომ პრეზიდენტი შეეწია ნუ-ოლონის მერს და იმის პოლიციას (შეერთებული-შტატების მოალატე იყო,) რომელიც უშლიდა უნიონისტებს, (*) რომ იმათ ამქალაქში კანონიერი კრება მოეხდინათ. პრეზიდენტი არის 378 მოქალაქის სიკვდილის მიზეზი. ამ მოქალაქეებში ერთნი განთქმული გამოჩენილი და ერთგული ლუიზიანის შტატის პატრიოტები. ამისთანავე შემთხვევა მოხდა მემფისში. პრეზიდენტი ამ საქმეშიაც ერია.

3) პრეზიდენტი გასამტყუარია ცუდის და ურიგო ლაპარაკისა და იმეგარ ყოფაქცევითის, რომელიც ანებს საზოგადოების წესს და მშვიდობიანობას; ამგვარი მოქმედება დაამცირებს პრეზიდენტის ალაგსა. 1) პრეზიდენტი ხალხის წარმომადგენლებს კონგრესში სატრავებს ეძახოდა ხოლმე; 2) სახალხოთ გამოაცხადა, რომ თუ მინდოდეს, დიქტატორად გახდებოდა ადელათ შემომდიანო; 3) იმან აპატივა დამნაშავეებს და კავშირის მტრებს ერთის ურიგო დედაკაცის და სხვა პირების თხოვნით, რომლებმაც თავიანთ სარჩოთ განხადეს ამისთანა თხოვნა და მეცადინეობა პრეზიდენტთან; 4) პრეზიდენტმა არ წარუდგინა ხალხს გენერლის შერიდანის ნამდვილი მოხსენება ნუ-ოლონის აღრეულობის შესახებ. იმან დაუშალა ხალხს ჭეშმარიტება იმ აზრით, რომ ვითომც ეს ამბავი საკუთრად იმას შეეხებოდეს და ამასხით ბევრი მოქალაქეების დახოცვა ხალხს არ აცნობა.

(*) უნიონისტები—ამერიკაში ის პირნი არიან, რომელთაც სურთ ყველა შეერთებულის შტატების კავშირი და ერთობა.

5) პრეზიდენტი თითქმის ყოველ ქაშს მთვარლობს და ფხიზლად არ არის. ამისგან იმას არ შეუძლიან ასარულოს პრეზიდენტის თანამდებობა. ის არცხვენდა ხოლმე მთელს მხარეს თავისი ურიგო სიტყვებით, რომლებსაც წარმოსთქვამდა ხოლმე სიმთვრალის დროს. ამის მაგალითათ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ის სიტყვები, რომლებიც იყო ნათქვამი მაშინ, როდესაც დაიჭრა პრეზიდენტის ალაგი და როცა მოგზაურობდა დასავლეთ-შტატებში.

„შეველია, უმთავრესი გამამტყუებელი იქნება ბინგამი, მღელიდამ, რომელსაც ხალხი იცნობს, როგორც განთქმულს იურისტსა და დახელოვნებულს ორატორსა. მაშინგტონში ბევრნი ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი უარს იტყვისო და გადადგება თანამდებობიდან, რომ სახალხოთ არ გამტყუდეს.“

— უკანასკნელმა ფორტამ მეხიციდამ მოიტანა შემდეგი ამბავი: 13 დეკემბერს იმპერატორი მაქსიმილიანი მოვიდა მონსაბილამ პუბლოში. იმას თან-მოჰყვა შრანციის ელჩი, უ. ღანო და გენერალი ძასტელნო. ამ ქალაქში უნდა დაბოლოვებით დააწყონ, თუ როგორ მოიქცეს მაქსიმილიანი იმ პროკლამაციის შემდეგ, რომელიც გამოსცა მეხიკის ხალხთან. საზოგადოების ფიქრით, თუმცა იმპერატორი სულგრძელობით კეთილათ ექცევა ხალხს, მაგრამ ხალხი ეწინააღმდეგებოდა ყოველს იმპერატორის კეთილსურვილს; ამიტომაც იმპერატორმა უთუოთ მეხიკის ტახტს თავი უნდა დაანებოს. ზანდგომილები დღე-დღე ძლიერდებიან. ამ ქამათ იმათ უჭირავთ უკეთესი პოზიციები და დაუშლელათ შედიან და იჭერენ იმ ქალაქებს, რომლებსაც ფრანკუზების ჯარმა თავი დაანება. 1 თებერვალს გამოცხადდება მეხიკის ხალხის სურვილი, თუ რა რიგათ უნდა დაწესდეს მმართველობა ამ სახელმწიფოში.

— მეხიციდამ იწერებია, რომ ხუარესმა დააფუძნა თავისი მმართველობა ქალაქში ლუჩანგო, და ეს ქალაქი გამოაცხადა თავის სატახტო ქალაქათ. მტრებამ, რეველუციის პარტიის წინამძღვრების შემწეობით, გამოაცხადა თავისი სიმართლე მეხიკის რესპუბლიკის პრეზიდენტობაზედ. იმპერატორმა მაქსიმილიანმა გამოაცხადა პროტესტი შეერთებულ-შტატების შესახებ, რადგანაც მაშინგტონის მთავრობა, უკანასკნელს დროს, ეწინააღმდეგებოდა იმ რიგს და წესს, რომელიც იყო დაწესებული იმის იმპერიაში.

ტ ე ლ ე ბ რ ა მ მ ე ბ ი,
პეტერბურგში მიღებული.

ოსტანტინოვოლი, 3 (15) იანვარს. მსმალეები ძალიან უწყრებიან აქაურს რუსის ელჩს, რომელმაც მისცა ბრძანება რუსის სამხედრო გემებს, რომ ძანდიდამ დაიხსნან და გადმოიყვანონ ბერძნების ოჯახები. ძანდის კიდებზე დარჩა 4 ათასი მშვიერი დედა-კაცი და ეშაწილები, რომლებიც მოვილიან ამისთანა მდგომარეობისაგან დახსნასა.

— მთხმა ზეთუნების წინამძღვრმა მიიღეს კათოლიკის სარწმუნოება იმ განზრახვით, რომ გადურჩნენ სხვა და სხვა ხარჯსა, რომლებიც მსმალეთმა ხელ-ახლა დააწესა. ამბობენ, რომ ბევრს სომხებს ჰსურთ მიიღონ კათოლიკის სარწმუნოება.

ათინა, 11 (23 იანვარს). მთხასი ვოლონტერები მოვიდნენ პირეში, შრანციის სამხედრო ცეცხლის გემით, რომელსაც მოჰყვნენ მსმალეთის და მეგ.პტის ცეცხლის გემები.

ოსტანტინოვოლი, 10 (22) იანვარს. ძანდიში რეტიმოსთან მოხდა ბრძოლა, სადაც ბერძნებმა გაიმარჯვეს. მსმალეები უკუ-მიიქცნენ ქალაქს რეტიმოს.

ჩრდილოეთის ამერიკის ხომალდი მიდის

ძანდიას, რომ სიკვდილიდამ დაიხსნას ქრისტიანნი სახლობანი, რომლებსაც საბერძნეთში უნდათ გადასახლება.

პოსტანტინოვოლიში ამბობენ, რომ პორტას უნდა აეტონომია მიანიჭოს კანდიელებს. ამას ურჩევდა პორტას რუსეთის მმართველობა იმის დაწყებამდის.

პირში და მესსალიაში არეულობა ძლიერდება. მსმალეებს სელინოსი ჯერ არ დაუტყუებიათ. ბერძნები იმყოფებიან კუნძულის საშუალ და აღმოსავლეთის მარბებში. ძანდის სახალხო კრება იმყოფება პია-რუმელიაში. შესდგა დროებითი მმართველობა შედის წევრისგან, რომლებიც კუნძულის სხვა და სხვა მარბიდან არიან ამორჩეულნი. ამ მმართველობაში სფაკის წარმომადგენელათ არის მოზინაი.

იოსებ შარამი ხელ-ახლა ადგა. იმან 1300 ჯარით მიმართა ლივანის გენერალ-გუბერნატორს ლაუდ-ფაშას.

პარიში. 13 (25) იანვარს. შურნალში Mémorial Diplomatique სწერენ, რომ საბერძნეთის ელჩებს, რომლებიც გაგზავნილი არიან დიდს სახელმწიფოებთან, მინდობილი აქვთ, რომ მოითხოვონ საბერძნეთთან შეერთება ძანდის, სიკლადის კუნძულების და მესსალიის ნაწილისა.

იოსებ შარამი გამოვიდა სირიიდან შრანციის სამხედრო გემით.

ტფილისში მიღებული.

კეპტაბურგში, 26 იანვარს. ანგლიის კაროლევამ წარმოსთქვა ტრონით-სიტყვა, რომელშიაც ის ამბობს აღმოსავლეთის აღრეულობაზედ. დასავლეთის სახელმწიფოები, წარმოსთქვა კაროლევამ, ყოველს ღონეს ხმარობენო, როგორმე ეს დაბრკოლებანი გაათავონ ისე, რომ სულთანის სიმართლე არ დაირღვესო. სარეფორმო ბილზედ არაფერი არ არის ნათქვამი, მხოლოდ ეს კია მოხსენებული, რომ პარლამენტს წარუდგენენო პროექტს აღმორჩევითი რჯულის შეცვლაზედ.—მენის ტელეგრაფები გამოაცხადებენ, რომ ექსტრა-ორდინალურს რეინსრატს აღარ შეკრებენო და სემიებს 6 თებერვლამდის აღარ გახსნიანო. მენაში მოხდა დეპუტატების ამორჩევა სემიებისთვის და ამ შემთხვევაში მეკონსტიტუციე პარტიამ მოიგო.

ს ა ხ ა ზ ი ნ მ ო გ ა ნ ც ი ხ ა დ ე ბ ა.
(Закавказский Вѣстникъ № 9).

4) 17 თებერვალს 1867 წ. ავკასიის სამხედრო მკურვის საინტენდანტო სამმართველოში მოხდება ტორგი, რომლითაც გაიქცემა სამუშაო სურამის საპრაიანტო მაგაზინის გადასაშენებლათ. ამაზედ გადადებულია 4,485 მანეთი და 23 კაპიკი.

8) ავკასიის პრიკაზში 12 მაისისათვის ამა წლისა დანიშნულია ხელმეორეთ ტორგი გასასყიდათ სახლისა, რომელიც ეკუთვნის კენინას სალომე ძაიხოსროს ასულს ანდრონიკაშვილისას და იყოფება ტფილისის ქალაქში, 2 ნაწილის 1 კვარტალში, ანისხატის ქუჩაზედ. ის სახლი ისყიდება იმისთვის, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან გამოტანილის 10,000 მანეთის სარგებელი.

9) 26 მაისს ამა წლისა ზაკავასიის პრიკაზში მოხდება ტორგი გასასყიდათ ქვეითკირის შენობები სა, რომელიც ეკუთვნის ქვემოხსენებულს ტფილისის მცხოვრებლებს. ის მამულები ისყიდებიან იმისთვის, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს სარგებელი შემდეგის პრიკაზიდან ნასესხის ფულისა: 1) პოლოვეკი ასესლობა მირან ბრიგოლის ძემ ამირაგმა — 600 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში. 2) ივგორ, სოლომონ, ზაქარია და ნიკოლოზ სვიმონის ძეთა პატარაკიშვილებმა — 1050 მანეთისა, რომლის გირათ არის მათი სახლი 2 ნაწილის 4 კვარტალში. 3) დიმიტრი იოსების ძემ ახმდაშვილმა — 6,000 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი 1 ნაწილის 1 კვარტალში. 4) შერიგმა

ძასია სტეფანეს ასულმა აბა-შელიკიშვილმა — 1,400 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი 2 კვარტალში. 5) მოსტოქანდინი ქმქმქმქმქმქმ — 600 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში. 6) ძასია ღვთის ასულმა ჰაზაროვისამ — 450 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 7) ძარაბეტ ალავერდის ძემ ალავერდევამ — 1,900 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი და დუქანი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 8) ნატალია ხეჩოს ასულმა ისავეისამ — 500 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი 1 ნაწილის 2 კვარტალში. 9) ბესარიონ შიტესას ძემ მაკარიძემ — 350, რომლის გირათ არის მისი სახლი 1 ნაწილის 1 კვარტალში. 10) პრაპორშიკმა აბას-ძულიძემ და აზნაურმა ძულიძემ-მირზა მამადას ძეთა ალაღაროვებმა — 5,600, რომლის გირათ არიან მათი სახლი და დუქანი 2 ნაწილის 3 და 4 კვარტალში. 11) სოლომონ ძარაკოსის ძემ ტერ-ფუქსოვამ — 2,500 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი ფლიგელით 3 ნაწილის 1 კვარტალში. 12) იაკობ ბერის ძემ შითოევამ — 3,750 მანეთისა, ერთხელ და მეორეთ 2,000 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი ორი ფლიგელით 4 ნაწილის 2 კვარტალში. 13) ივანე ბერასიძის ძემ სარაჯიშვილმა — 3,000 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი სახლი ორი ფლიგელით ნავთლანში. 14) ასატურ ნიკიტას ძემ ტერ-ასატუროვამ — 45,000, რომლის გირათ არის მისი სამეტყაინი სახლი დუქნებით და ფლიგელებით 1 ნაწილის 3 კვარტალში.

10) 24 აპრილს 1867 წ. ზაკავასიის პრიკაზში მოხდება ტორგი გასასყიდათ ერთ-ერთაჟანის სახლისა და ფლიგელისა, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს სტეფანე ზალუსტას ძემ ბარხუდაროვს და იყოფება 2 ნაწილის 2 კვარტალში. ის სახლი ისყიდება იმისთვის, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან ნასესხის 2,500 მანეთის სარგებელი.

11) ტელავის შუბის სამსჯავროში 26 მაისს ამა წლისა მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელიც ეკუთვნის ქვემოხსენებულს მეტატონეებს სიდნაის უზუნისა. ის მამულები ისყიდებიან იმისთვის, რომ მისმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან შემდეგის ნასესხის სარგებელი: 1) თ. სვიმონ, ალექსანდრე და იოსებ ბიორგის ძეთა ბებურო-მანაძეებმა 5,000, რომლის გირათ არის მათი მამული სოფელს პარდანას 2) თ. ალექსანდრე და ღვთ. ძაიხოსროს ძეთა მანაშვილებმა — 3,250, რომლის გირათ არის მათი მამული სოფლებს ბაქურციხეს და პარდანას. 3) თ. რევაზ ძაიხოსროს ძემ ბებურო-მანაძეებმა — 4,000 მანეთისა, რომლის გირათ არის მისი მამული სოფელს პარდანას.

12) ბორის შუბის სამსჯავროში 26 მაისს ამა წლისა მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის პრაპორშიკს თ. ზაქარია ღვთის ძეს ტიციშვილს და იყოფება ბორის უზუნში, სოფელს ზაქარაშენს. ის მამული ისყიდება იმისთვის, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან ნასესხის 3,000 მანეთის სარგებელი.

13) ბორის შუბის სამსჯავროში 26 მაისს ამა წლისა მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელიც ეკუთვნის ქვემოხსენებულს მეტატონეებს ბორის უზუნისა. ის მამულები ისყიდებიან იმისთვის, რომ მისმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან შემდეგის ნასესხის სარგებელი: 1) პაბარუჩიკი ბორიგო, პარუჩიკა პოსტანტინე და შილიზარ დიმიტრის ძეთა თ. შრისთებმა — 14,400 მანეთისა, რომლის გირათ არის მათი მამული მსეთის უჩასტკაში, სოფლებს: ხაჯას, შრთულს, ბაქის, შახალს, ზემო-საინოს, მანურს, ბევიჯს, ქვემო-საინოს, ღვალულს, ტუბოლანთ-კარს და თლითანს. 2) ივანე შრისთებმა — 7,000 მანეთისა, რომლის გირათ არის მათი მამული სოფელს მეჯვრის-ხეცს.

14) ტელავის შუბის სამსჯავროში 27 თებერვალს 1867 წ. მოხდება ტორგი გასასყიდათ ერთ-ერთაჟანის სახლისა ეზოთი, რომელიც ეკუთვნის კენინა ქეთევან ანდრონიკაშვილისა. ის სახლი იმყოფება ტელავში და დასესებულია 480 მანეთათ.

15) ბორის შუბის სამსჯავროში დანიშნა ტორგი 13 აპრილს ამა წლისა გასასყიდათ უძრავი მამულისა, რომელიც ეკუთვნის თ. სამ ამირჯუბის მემკვიდრეს, კენინა მართა მჩაბელისას და იყოფება სოფელს წავგვლს. ის მამული შესდგება მამულებისაგან და სახნავის მიწისაგან, და დასესებულია 405 მანეთათ.

16) ახალციხის შუბის სამმართველოში დანიშნება ხელმეორეთ ტორგი გასასყიდათ უძრავი მამულისა, რომელიც ეკუთვნის ახალციხის მცხოვრებლებს მიხეილს, თომას და ბრიგოლ ნაზაროვებს. ის მამული ისყიდება იმისთვის, რომ მისმა პატრონებმა არ გარდაიხადეს ჯარშია სასარგებლოთ მსჯავრულებისა და ხაზინისა. ის მამული იმყოფება ახალციხეს, და შესდგება ერთ-ერთაჟანის ქვეითკირის სახლისაგან და ეზოსაგან. დასესებულია 186 მანეთათ. ტორგი მოხდება 6 მარტს ამა წლისა.

17) 17 მარტისათვის 1867 წ. ახალციხის შუბის სამმართველოში დანიშნულია ტორგი გასასყიდათ უძრავი მამულისა, რომელიც ეკუთვნის ახალციხის მცხოვრებს მელქო ხოჯაგანოვს. ის მამული იმყოფება ქ. ახალციხეს და შესდგება ქვეითკირის ერთ-ერთაჟანის სახლისაგან, მამული დასესებულია 1,000 მანეთათ.